

შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (The Swedish NAO)

2009 წელს ოფიციალური კონტაქტი დამყარდა საქართველოს კონტროლის პალატის და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის წარმომადგენლებს შორის, რომელსაც მოყვა საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის პირველი ოფიციალური ვიზიტი შვედეთში 2009 წლის 16-17 სექტემბერს. ვიზიტის ხელმძღვანელი იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბ-ნ ლევან ბეჟაშვილი. შეხვედრის დროს მოხდა როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური ურთიერთობების გაღრმავება და ხელი მოეწერა განზრახულობათა ოქმს, რომლის საფუძველზე დადგინდა საქართველოს კონტროლის პალატის განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნები.

სემინარი თემაზე: „ფინანსური აუდიტის პროცესის რეპორტირების ფაზა“

29 ივნისი - 2 ივლისი 2010 წ

„საქართველოს კონტროლის პალატისა და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის ინსტიტუციური განვითარების თანამშრომლობის პროექტის“ ფარგლებში კონტროლის პალატაში გაიმართა სემინარი.

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო მონაწილეთათვის აუდიტის პროცესისა და სახელმძღვანელოს მესამე საფეხურის განხილვა და შემოწმება, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული 4 საპილოტო აუდიტის დასკვნების მიმოხილვა და ცოდნის გაზიარების სისტემის განვითარება, ასევე, მხარეები შეთანხმდნენ მომავალი ვიზიტის მოსამზადებელ სამუშაოებზე.

შვედების ეროვნული აუდიტორული ოფისი წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით:

ლარს ნორდსტრანდი - დირექტორ-აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ანნა ლაგერკვისტი - დირექტორ-აუდიტორი;

კარინ უფფლანდერ ეკმანი - დირექტორ-აუდიტორი;

კამერან კუდური - დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის დეპარტამენტი.

სემინარი თემაზე: „ეფექტიანობის აუდიტი“

3-7 მაისი, 2010 წ.

თანამშრომლობის მემორანდუმის დაწყებიდან, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი განაგრძობს სკპ-ის მხარდაჭრას - ეფექტიანობის აუდიტის საერთო წარმოდგენისა და მისი მიმართულებების განვითარებას. აღნიშნული სემინარის მიზანი იყო 4 პრობლემის ამოცნობა და სამუშაო გეგმის შექმნაზე მუშაობის დაწყება. შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: რუთგერ ბანეფელთი - მეორე აუდიტორული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; გორან არნელი - საერთაშორისო სამდივნოს მთავარი აუდიტორი; ისაკ რეიჩელი - მეორე აუდიტორული დეპარტამენტის მთავარი აუდიტორი; კამერან ხუდური - დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის დეპარტამენტი.

სემინარის განმავლობაში დადგინდა ეფექტიანობის აუდიტის შემდეგი სამუშაო გეგმა, რომელიც ჩატარდება 2010 წლის შემოდგომაზე და 2011 წლის გაზაფხულზე.

სემინარი „ფინანსური აუდიტი: საპილოტე აუდიტის განხორციელება“

12-15 აპრილი 2010

ამ სემინარის ძირითადი მიზანი იყო კონტროლის პალატის შესაძლებლობის და საჭირო კვალიფიკაციის განვითარება. რათა დაგეგმოს, განახორციელოს და ანგარიში წარადგინოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს კონტროლის პალატამ ჩაატარა ოთხი საპილოტე აუდიტის დაგეგმვის ფაზა აღნიშნული პრინციპების და მეთოდოლოგიების მიხედვით, რაც შემდგომში იქნება გაანალიზებული და შეფასებული შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის წარმომადგენლების მიერ.

სემინარი „შიდა და გარე კომუნიკაციები“

22-25 მარტი 2010

შეთანხმებული პროექტის ფარგლებში შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს სემინარი კომუნიკაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით. პრეზენტაციის მთავარი თემა იყო დაგეგმილი და რეალურად არსებული მდგომარეობის შედარება, შიდა და გარე კომუნიკაციები დაინტერესებულ მხარეებთან.

საქართველოს კონტროლის პალატის და შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

23.03.2010

წინა პარტნიორული ურთიერთობების შედეგად ორივე მხარემ, რომლის წარმომადგენლები იყვნენ შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის გენერალური აუდიტორი ბ-ნ იან ლანდალი და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბ-ნ ლევან ბეჟაშვილი, ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელშიც აღინიშნა თანამშრომლობის ზოგადი მიზნები და დადგინდა მომავალი პარტნიორული საქმიანობის სტრუქტურა.

ზემოხსენებული პროექტის ხანგრძლივობის ვადა არის 2010 წლის მარტიდან 2012 წლის დეკემბრამდე და მოიცავს ფინანსური აუდიტის პრაქტიკაში დანერგვას და ასევე სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს.

საქართველოს კონტროლის პალატის და შვედეთის აუდიტორული ორგანიზაციის თანამშრომლობის ფორმირების მიზანი იყო დახმარების გაწევა საქართველოს კონტროლის პალატის 2009-2011 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებაში, რომელიც შექმნილი იყო ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების საფუძველზე. ურთიერთობების ძირითადი მიზანია დახმარება გაეწიოს კონტროლის პალატას გრძელვადიანი გეგმებით განსაზღვრული მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში.

დაგეგმილი მომავალი საქმიანობა 2010 წლისთვის საქართველოს კონტროლის პალატას და შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის საერთო პროექტის ფარგლებში.

1-3 სექტემბერი 2010	მენეჯმენტის შეხვედრა სტოკჰოლმში, შვედეთი
6-7- სექტემბერი 2010	სემინარი „ფინანსური აუდიტი“, თბილისი, საქართველო
14-17 სექტემბერი 2010	სემინარი „ფინანსური აუდიტი“, თბილისი, საქართველო
27-30 სექტემბერი 2010	სემინარი „შიდა და გარე კომუნიკაციები“ თბილისი, საქართველო
4-8 სექტემბერი 2010	სემინარი „ეფექტიანობის აუდიტი“, თბილისი, საქართველო
ნემბერი - დეკემბერი 2010	სემინარი „საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სტრატეგია“